

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ კონჭკათის მაჟორიტარი დეპუტატი,

ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის

ტარიელ არაშიძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარე, კოლეგებო და ძვირფასო ამომრჩევლებო.

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-მ წარმადგინა სოფელ კონჭკათში მაჟორიტარ კანდიდატად რომელშიც გავიმარჯვე 93%-ით და გავხდი საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში. 1). საფინანსო-საბიუჯეტო და 2). სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიებში.

2017 წლის 27 ნოემბერს საკრებულოს უმრავლესობის მიერ არჩეული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარედ და უმრავლესობის ლიდერად.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე 18, ბიუროს 12, და კომისიების 21 სხდომებში.

ჩემს მიერ მოწვეული და ჩატარებული იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 11 სხდომა სადაც განვიხილავდით საკრებულოზე მისაღებ სამართლებრივ აქტებს, ფრაქციაში შემოსულ სხვადასხვა კორესპონდენციებს.

ფრაქციის სხდომებზე კვარტალში ერთხელ ვისმენდით მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და მერიის მიერ დაფუძნებულ ა.(ა).ი.პ. და შ.პ.ს. ხელმძღვანელების ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 8 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს და ამავდროულად საკრებულოს თანამდებობის პირს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს

ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 55-ჯერ მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას. კერძოდ: სოფლის ტერიტორიაზე შიდა გზების მოხრეშვა და რიგ ადგილებში ბეტონის გზის დაგება და გარე განათების მოწესრიგებას, ერთჯერად ფულად დახმარებებს, სამედიცინო დახმარებებს (საგარანტიო წერილი) და სხვა.

ეხლა მინდა მოკლედ მოგახსენოთ იმ პროექტების შესახებ რომელიც 2018 წელს განხორციელდა სოფელ კონჭკათში როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.კერძოდ ეს პროექტებია:

- სოფელში მოიხრეშა შიდა საავტომობილო გზა სადაც შეტანილი იქნა 1300 კუბური მეტრი ბალასტი.
- დაიგო 850 გრძივი მეტრი ბეტონის საფარი.
- სტიქის მიერ დაზიანებულ შვიდ ოჯახს გადაეცა სახლის გადასური მასალა და თუნუქის ფურცელი. შესაბამისი რაოდენობებით.
- სოფელში სოციალურად დაუცველ 5 ოჯახს გაეწიათ დახმარებები კერძოდ: გადაეცათ სახლის სამშენებლო მასალები სრულყოფილად რათა გაუმჯობესებულიყო მათი საცხოვრებელი პირობები.
- სოფელში გადაწყდა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა რომელიც დიდი ხანია აწუხებდა სოფლის მოსახლეობას კერძოდ: გამოიცვალა 35-ი მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ბოძი.
- ორი ოჯახი სრულად დაკმაყოფილდა სახლის საშენი მასალით.
- 35 ოჯახს გაეწია მედიკამენტური დახმარება.
- 12 ადამიანს გაეწია დახმარება ძვირად ღირებული ოპერაციების ჩატარებისას.
- 8 ადამიანს გაეწია “C” ჰეპატიტზე დახმარება რომლის თვითღირებულება თითოეულზე შეადგენს 80000 დოლარამდე.
- ბათუმიდან სოფელში გვყავდა მოწვეული ექიმთა ჯგუფი რომლებმაც უფასო გამოკვლევები ჩაუტარა 100 ადამიანს.

მინდა მოკლედ მოგახსენოთ იმ პროექტების შესახებ რომელიც 2019 წელს განხორციელდება სოფელში.

- მერია-ხვარბეთის- კონჭკათი (კატის ციხის უბანი) საავტომობილო გზის მოასვალტება, დაიწყება მიმდინარე წლის აპრილის თვეში რომელიც დასრულდება ზაფხულში.
- სოფლის ცენტრში და სუსკურის უბანში აშენდება მოსაცდელეები.
- სოფლის ჩენტრში უახლოს ხანში დაიწყება სოფლისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის კემო სოფელს აუსენდება ამბულატორი, რომელიც დაიწყება მიმდინარე წლის გაზაფხულზე და დამთავრდება ორი თვის ვადაში და სოფელს ექნება თანამედროვე საექიმო სოფლის ამბულატორია.
- დაგეგმილია ადრე გაზაფხულისთვის სუფსის პირას საყანე ფართობების მისასვლელი გზებისმოხრეშვა დაგრეიდერება და წყლის სადრენაჟე არხების არსებულის განახლება და საჭიროების შემთხვევაშია ახლის გაყვანა.

- ეხლა მინდა მოგახსენოთ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ეს შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას. რომელიც ითვალისწინებს სოფლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას სოფლის მაცხოვრებელთა შეთანხმებით. სოფელ კონჭკათს აღნიშნული პროექტიდან მოუწია 56000 ათ. ლარი. სოფელში ჩატარდა სოფლის კრება სადაც გადაწყდა აღნიშნული თანხა გაიხარჯოს შუადელის, მონასტრის, განთიადის უბნებში საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა.
- სოფელში გაგრძელდება შიდა საავტომობილო გზების მოხრეშვა დაგრეიდერების სამუშაოები, ასევე იგეგმება მერია-კონჭკათის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

ეს არ არის იმ სრული პროექტების ჩამონათვალი რომელიც დაგეგმილია 2019 წელს სოფელში.

როგორც ,საკრებულოს წევრი და საკრეულოს თანამდებობის პირი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ სამართლებრივ აქტების მიღება დამტკიცებაში. კერძოდ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ~~შეფასება~~ ~~შეფასებაში~~.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების.
- კურორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის შემოღების შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.
- სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ.
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ.

-ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ.

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების დამტკიცების შესახებ

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ.

აგრეთვე, საკრებულოს სხვადასხვა მიღებულ განკარგულება/დადგენილებებში რომელიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს, კომისიების და ფრაქციის სხდომებზე დასწრებით.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ყველა ღონეს ვიხმარ ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში სოფელში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა რომელიც დიდი ხანია აწუხებს სოფელს. გამომდინარე აქედან აქტიურად გავაგრძელებ თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტის წევრთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, გურიის მხარის გუბერნატორთან, საკრებულოსთან და მუნიციპალიტეტის მერიასთან.

და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს უმრავლესობას, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისათვის.

საკრებულოს წევრი

სოფელ კონჭკათის მაჟორიტარი დეპუტატი

ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს

თავმჯდომარე ტარიელ არაშიძე

26 თებერვალი 2019 წ.